



საქართველოს მწერი

მწერი
№ 5 1975 წ.



საქართველოს
საბჭოთავო
საქართველო



საპირველად
დემონსტრაცია
თბილისში





ფაშინიშვილი გამარჯვების ძეგლი ბარლინში.
მოქანდაკე ე. ვურტიჩი

200

მილიონი მანეთის სამრევლო პროექტი — გვიმის ბაღაშეპილი!



ღუნის სარეუკი

1922 წელს ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე სერგო ორბანიძემ თქვა: «ჩვენ, მაგალითად, მოწოდებულნი ვართ საქართველოში მოვაწვიოთ მუდგის წარმოება. ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთადერთი გზა — რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება ერთ თავის ფაბრიკას გვაძლავს, რომელსაც ვდგამთ ქუთაისში, არ ჩამყვდარ ქალაქში».

მართლაც, იმავე წელს დიდი ლენინის ინიციატივით ქუთაისის შრომატაძრის რუსეთის მუშათა კლასისაგან საჩუქრად მიიღეს საწარმოს მოწყობილობა. ამიტომაც ესა ერთმანეთისაგან განუყოფელი ქუთაისის მუდგის ფაბრიკა და ლენინის სახელი.

რუსი შემოღებულების დასაბრუნებლად ენერგოული და თავდასუბოვანი შრომა გაჩაღდა ფაბრიკის ექსპლუატაციაში გაშვებისათვის. იყო სიმეწელები, არ უკავდათ კვალიცოცურ სპეციალისტები, შალის წარმოების მცოდნე კადრები, არ ჰქონდათ საბჭოთაობის ტრანსპორტი და მაინც მუშები დიდი ენთუზიაზმით იღვწოდნენ, აწუხობდნენ შაბათობებს, მუშობდნენ ზედიზე საათებს უსუსყიდლოდ, რომ ფაბრიკა დროულად ჩამდგარიყო მწყობარში.

1924 წლის 12 ოქტომბერს საყვირის მშლავრმა ხმამ ქუთაისელ შრომატაძრის ამცნო ქართულ. საფეიქრო მრეწველობის პირში, მუდგის ფაბრიკის დაბადება.

გავთმა „კომუნისტმა“ იმავე დღეს სპეციალური სტატია უძღვნა ამ მოვლენას: «დღევანდელი მუდგის ზენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც სამრეწველო ქალაქი. ამიერიდან ქუთაისი გამოდის მრეწველობის ასპარეზზე. საქართველოს პროლეტარიატი

ვერსადღეს დაივიწყებს მას, ვისი თაოსნობითა და დახმარებითაც შეიქმნა ეს ფაბრიკა».

ექსპლუატაციაში გაშვების პირველ წელს ფაბრიკამ 20 ათასი მეტრი მუდგა გამოუშვა, მეორე წელს კი — 25 ათასი.

წლების განმავლობაში იზრდებოდა და ვეცადებოდა ფაბრიკა. პატარა კუსტარული წარმოებიდან იგი მძლავრ სოციალისტურ საწარმოდ გადაიქცა. შიშმა შრომის-მოყვანი კოლექტივმა სახელოვანი გზა განვილო და მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა სოციალისტური საფეიქრო მრეწველობის განვითარების ისტორიაში. ხუთწელებში ამოცანების შესაბამისად განხორცილდა იზრდების ფაბრიკის საწარმო სიმძლავრე, პროდუქციის მოცულობა, მისი ასორტიმენტი.

1929 წელს ფაბრიკაში იყო 84 დანადგარი და მუშობდა 280 კაცი, ფაბრიკის ამ დროს თითქმის სრულებით არ უკავდა სპეციალური განათლების ჰქონე კადრები. ახლა ფაბრიკაში 200-მდე დაზგა-დანადგარია, მუშობს 800 მუშა-მასამსახურე, მათგან — 60 ინჟინერ-ტექნიკოსი.

უკანსწელი 15 წლის მანძილზე მუდგის ფაბრიკაში განხორციელდა ტექნიკური გარდაქმნები, ძირითადი საწარმოო ფაბრიკის გადღების გარეშე ძველი გაცვეთილი მანქანა-დანადგარები ახალი მაღალწარმოებულური საბაშელო და საზღვარგარეთული დანადგარებით შეიცვალა, რამაც განაპირობა ის, რომ 1929 წელთან შედარებით დაზგა-საათის ნაყოფიერება გაიზარდა 4-ჯერ. უკიდრე ერთი წესიველი ურთ დაზგაზე 8 საათში 10.11 მეტრი ხამ ქსოვილს ქსოვდა, ახ-

ლა იგი ნორმალური მუშაობით მუშავებდა ქსოვილს ამაღლებს.

ამჟამად ფაბრიკა ერთ სამუშაო კვარტში უშვებს იმდენ მეტრ ქსოვილს, რაც გამოუშვებს შოლიანად 1925 წელს. თუ 1930 წლამდე ფაბრიკა მხოლოდ ერთი დასახელების პროდუქციას ამაღლებდა, ახლა 10-მდე გაიზარდა ასორტიმენტის რაოდენობა.

1964-1965 წლებში მოხდა ფაბრიკის სპეციალიზაცია. იგი ძირითადად ფაბრიკულ, ნახევრადშალის და სუფთა შალის სახეების გამოშვებაზე გადავიდა. პროდუქციის ეს სახე მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს და სწორედ ამიტომაც, 1972 წელს სახელმწიფო-სააგენტაციო კომისიამ წინდა შალის საბანს (არტიკულ 48165-ს) ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიავსურა.

1974 წელს თერკოლაში აიშუვდა ფაბრიკის ფილიალი, სადაც ყოველწეობრად 31 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი მზადდება.

ფაბრიკის კოლექტივს სათავეში უდგას პირველი პარტიული ორგანიზაცია. 1924 წელს, ფაბრიკა ფეხს რომ იდგამდა, მისი პარტიული უჯრედი 3-5 კომუნისტს ითვლიდა, ამჟამად საწარმოს პირველი პარტიული ორგანიზაცია 170 კომუნისტს ფერთანებს. კომუნისტები ყოველთვის საწარმოს გადამწყვეტ უბნებზე იმყოფებიან და პირად მიაგლის აძლევენ თანამოსაქმეებს, არიან აველა შესანიშნავი საქმის წარმწყვენი.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია, ხელმძღვანელობს რა საქმე 24-ე ყრილობის ისტორიული გადამწყვეტლებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პულეუმების გადამწყვეტლებებით, მთელ პარტიულ-პროლეტარულ და პარტიულ-მეცნიერულ მუშაობას წარმართავს სასაწარმოსდასდ ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობის სრულყოფის გზით, რაზმეც კომუნისტებს და მთელ კოლექტივს საწარმო ფეხების შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, თვითიზრებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადღების, ახლო ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის დაწერვის, დაზგა-დანადგარების მოცდენების ლევიდაციას და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის საბაშოვლავდა.

დიდი უკრძლებდა ეთობმა სოციალისტური შეჯგობრების უმაღლეს ფორმას — კომუნისტური შრომის მოძრაობას. კომუნისტური შრომის დაძვერების საბაშო სახელს ატარებს ორი უბანი, 19 ბოზგადა და 397 მუშა.

საწარმოში ფართოდაა გავლილი სოციალისტური შეჯგობრება მე-9 ხუთწელების დავალბათა შესრულებისათვის. ხუთწელების მრთოზე წელს საწარმომ საყვირო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,1 პროცენტით გაანაღდა. გეგმის გადამტეებით დამზადებული 888 ათასი მანეთის პროდუქტია. რეალობიკის გეგმა შესრულებულია 105,3 პროცენტით, გეგმის ზეით რეალობებზე 1964 ათასი მანეთის ზეით ნაწარმი. ფაბრიკამ ახალი გადღებული საწარმო ამოცანები

დაისახა ხუთწლედის დამამთავრებელ წელსაც. გამოშვებულ უნდა იქნას 29 მილიონ 200 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, 1 მილიონ 200 ათასი მეტრი ქსოვილი.

სკკე ცენტრალური კომიტეტის მიმართავ პარტიისში, საბჭოთა ხალხისში, სკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის, ქალაქ ქუთაისის და მთელ რიგ საწარმოთა გამარჯვებამ და გარდაბავილი წითელი დროშის მიყვებებამ ახალი შთაგონება და ძალა შემატა ფაბრიკის კოლექტივს. გადახედეს რა არსებულ რეზერვებს, შემუშავებულ იქნა გაზრდილი შეზღვევები გეგმა, წლის ბოლოსათვის, დამატებით გამოუშვებენ 500 ათასი მანეთის პროდუქციას.

ფაბრიკაში ბევრია მოუხეცარი აზრის ადამიანი, რომელია შემოქმედებითი საქმიანობა საგრძნობლად გააუმჯობესა ამა თუ იმ უბნის მუშაობა, რაციონალიზატორულმა წინადადებებმა წარმოებებს მისცა დიდი ეკონომიური ეფექტი.

20-მდე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მუშაობს ფაბრიკაში, ქართველების მხარდახარ შრომობენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, ებრაელები, ბერძნები...

მაულის ფაბრიკის კოლექტივი სათუთად იჩნახეს იმ ადამიანთა სახელებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მუდის წარმოებას და შემდეგ ათეული წლების მანძილზე იღვწოდნენ მისი წინსვლისა და დიდებისათვის.

ვეტერან კომუნისტ ფეიქრებთან: ტ. გვარამაძესთან, ბ. გაბაძესთან, ვ. გოგელიძესთან, თ. ნადირაშვილთან, ნ. კუბლაშვილთან, ა. სვანიძესთან, გ. გამეზარაშვილთან, ზ. ყიფშიძესთან, გ. გვეტაძესთან, თ. გურუშვილთან, ა. ჯანელიძესთან და სხვებთან ერთად დაოსტატდნენ და მათს შრომითს ტრადიციებს აგრძელებენ ახალგაზრდა მუშები, ინჟინრები, ქვეოსტატები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომკავშირელი ქალშეიღობის: ქეთევან ნიეარაძის, ციციო კენჭაძის, მანანა კუბლაშვილის, ნანული ჟორჯიანიანის, თამარ მამაგვილიძის, ციცი კუკუაშვილის და სხვათა თავდადებული შრომა. წარმოებაში დიდი ყურადღება ეთმობა მუშა-მოსამსახურეთა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვას. საწარმოში არის მდიდარი მხატვრული და ტექნიკური ბიბლიოთეკა, კარგად მოწყობილი მუშათა კლუბი. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შეიღობისათვის აგებულია ორსართულიანი კეთილმოწყობილი ბაგა-ბაღი 150 ბავშვზე.

მიღწინავე წელს ფაბრიკის კოლექტივმა ზემოთ აღნიშნა დაარსების 50 წლის იუბილე. ფეიქრებმა პირობა დადეს, რომ მუდამ მორიწავთა რიგებში იქნებიან და ღირსეულად ატარებენ მისი დამაარსებლის, პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის — უექდავი ლენინის სახელს.

ბ. ზაფისაშვილი, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი.

საქენ-სართავი უბნი



მოწინავე მუდოლე ნაჯაროლა სიგუა, იგი 1976 წლის ანგარიშში მუშაობს



ხაიხის უფროსი ინჟინერი ვილახვანიძე და წუნამდელი ლაშარა ქორთაძე ამოქმედებენ შალის ხაიხის ბაიხის



მოწინავე მტოველუბი დალიკაძე, ქე და ციციო კაკუაშვილი.





1975 — ქალის საერთაშორისო წელი

კომუნის სას შენ, 1975 წლის ჩინოსლოვკაელ ქალთ?

პასუხობენ ბანთაპისუფლების
თანაბრლები

წელს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა თავის დიად ღლესაწვლს ზეიმობს: ჩეხებისა და სლოვაკების სახალხო განმთავისუფლებელი ბრძოლის კულმინაციისა და გმირული წითელი არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 30 წლისთავს. ესა წელი იმ წარმატებების შედეგებისა, რომელსაც მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ სამი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით.

ჩვენი წინსვლისა და პროგრესის ერთერთი უმჯობესი დადასტურებაა ქალის როლი ზრდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორ ცხოვრობს, რას წარმოადგენს თანამედროვე ჩეხოსლოვაკელი ქალი? ამას გვახსენებენ 1945 წელს დაბადებული ჩეხი და სლოვაკი ქალები. 1975 წელი მათთვის ორგანოვანი სათბურებია: ისინი რესპუბლიკის განთავისუფლების იუბილესაც იხეიმებენ და საკუთარი დაბადების 30 წლისთავსაც. ამრიგად, ვეითხებინათ:

1. რა ცვლილებებისა და მიღწევებს თვლით ყველაზე მნიშვნელოვან როგორც მთელი ჩეხოსლოვაკიის, ისე თქვენი თანამემამულე ქალების, თქვენი ოჯახისა და პირადად თქვენს ცხოვრებაში?
2. რა ნიშნებით ხაზავხობთ თქვენი თაობა და რა თვისებებს აფხებთ ყველაზე მეტად თქვენს თანალოებში?
3. მომავლის როგორი გეგმები გაქვთ? გვახსენებენ:



ვერა ნიკოლსკა

მე დავიხადე ორ მაისს, როცა ქალაქ იმბრუკის მცხოვრებლები იარაღით ხელში აღსდგნენ დამოხმის წინააღმდეგ, მებრძოლი პრალის დასახმარებლად. საბჭოთა არმიის თავილებით ესაღმებოდნენ. ჩემი ოჯახი წლებების მანძილზე იწახავდა თავლის პატარა კარს, რომელიც საბჭოთა მებრძოლებმა უსახურეს დედაჩემს იმ მძიმე საათებში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პიონერულმაძღვანელად დავიწყე მუშაობა. დაუსწრებლად დავამთავრე პრალის კარლოვი უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი და ნიშნუკის ცრაწლიან სკოლაში ვმსწავლებლობ. ჩემი გოგონა ვერა ახლა ხეით წლისაა.

1. ჩვენი თოთხმეტათასიანი ქალაქი წელს თავისი დაარსების 700 წლისთავს აღნიშნავს. მის სახელოვანი ისტორია აქვს. მრავალმა თაობამ დამაჩნია თავისი ცალი მის სახეს, მაგარამ ყველაზე დიდ პროგრესს ქალაქის ცხოვრებამ ამ უკანასკნელ წლებში მიაღწია. როგორც მასწავლებელს, მე ყველაზე უფრო ის მზრუნველობა მხატრებს, ქალაქი თავისი ბავშვებისა და ახალგაზრდებისაგან რომ იჩენს. ჩვენ არამარტო სკოლები გვაქვს საკმაოდ — კომუნისკის ქუჩაზე ჩვენი სკოლის გარდა კიდევ ორი დაწყებითი და ერთი საშუალო სკოლა, — არამედ პიონერთა სახლიც, ახალგაზრდული რაზმიც და საბავშუო სახლიც. უკანასკნელ წლებში ქალაქში კიდევ მრავალი კომპლექსი აშენდა; მაგალითად, სახატორი სტადიონი, საცურაო აუზი, ახლა მარადგზა რკინიგზის სასწავლებლის მშენიერი ინტერნატის მშენებლობა.

მე მევეიდე კლას ვასწავლი, 26 მოსწავ-

ლე მეავს. აქედან 15 ტრიალისანანაშრომელს მობარტლი ვარ, რომ სოციალისტურ წესობით არავითარი განსხვავება არაა მუშათა და საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენელთა შვილებს შორის, რომ მუშებისა და ინტელიგენციის ბავშვები ერთნაირი წარმატებით სწავლობენ.

2. ჩემს თანამედროვეებში და, რა თქმა უნდა, ჩვენს დედებსა და უფროს თაობაში, მე, უპირველეს ყოვლისა, იმ თავდაუზოგავ შრომას ვფასებ, წარმოებში, ოჯახსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რომ ეწევიან. ზოგჯერ ისიც მეჩვენება, რომ ჩემი თანატოლები საოჯახო საქმიანობით უფრო იღლებიან. ამას ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ქმარზე ვამბობდვ გადაკრულ სიტყვას. არა, ჩემს ქმარზე სასაკვეთრო არაფერი მეგომის — ჩემი ერთგული თანაშემწეა ოჯახურ საქმიანობაში.

3. ჩვენ, მასწავლებლები, ვაღლებული ვართ, კარვად აღზარდით ჩვენზე მობარებული ბავშვები. მოქალაქეთა აღზრდა კი, პირველ რიგში, იმას გულისხმობს, რომ საკუთარი შვილები გვაავადეს კარვად აღზრდილები. აი, ამ ორ ამოცანას მსურს შევეწირო მთელი ჩემი ძალ-ღონე.



ვერა ნიკოლსკა

ის დაბდა ომის უკანასკნელ დღეს, იმ საავადმყოფოში, სადაც დედამისი ხელჩართულ ბრძოლაში ჩამძულ მთელ ქალაქზე გავლით მიიყვანა საბჭოთა მეომარმა და — დაეცა ამ დროს ფაშისტის ტყვეით ვანგრძეული მისი თანამებრძოლი კვდებოდა. ვეას მშობლები მუშები იყვნენ. და იმ დროისთვის, როცა ოჯახი ესტინიანდ ბრძოლა გადადიოდა სახვოებრძოლად, სიმწველის ატვტატთან ეროდ ევამ ზეინკლის მოწმობაც მიიღო.

წელიწადნახევარი იმუშავა ბრნოს ტეს-
ლს ქარხანაში, რომელიც რთულ ელექტრო-
გამომ ხელსაწყოებს ამზადებს. დერე-
ტულ შეგებულებაში ყოფნისას ტექნიკური
ხაზვის კურსი გაიარა და უკვე რამდენიმე
წელია ტექნიკურ-ადმინისტრაციულ სამუ-
შაოს ასრულებს.

1. ჩვენს წარმოებაში დღეაჩემი და ჩემი
ორი უმცროსი მძა მუშაობს. ყველას ძალი-
ან გვიყვარს და გვიმარაბება ჩვენი ქარხანა,
მარტო იმიტომ არ არა, რომ რთულად და სა-
ინტერესო პრობლემების გამოსაძებნი, არამედ
იმითრამაც, რომ ეს წარმოება ბევრს ზრუ-
ნებს თავის მუშაკებზე. ჩემს ქვეყანაყოფილ-
ებაში მხოლოდ ქალები ვმუშაობთ, მეტწი-
ლიან — ახალგაზრდები, ახალგაზრდა დედე-
ბი. და ჩვენზე ზრუნევენ არა მხოლოდ რო-
გორც მუშა ქალებზე, არამედ, როგორც დე-
დებზეც. ქარხანაში კარგად ესმით დედების
საზრუნავი, ჩვენს მღვობარეობაში შედიან.
როცა ბავშვი ავიდ ვიხვდება, ჩვენზევე თა-
ნაწარმოების უფროსი ასაკის ბავშვებზეც,
მათთვის სხვადასხვა ღონისძიებები ატარე-
ბენ. ქარხანას მშენებელი სახაფხული პოე-
ნითაა დაბრავი აქვს. ჩემმა შვილმა იმ ბა-
ნაში უკვე სამეგრ დასცენა. მართალია, ჩე-
მი ქმარი სხვა წარმოებაში მუშაობს, მაგრამ
ქარხანაში მიწვე მოგვცა უპროცენტო სესხი
10 000 კონის რაოდენობით და წელს ჩვენ
ახალ კომპარტიულ მაგას მივიღებთ.

2. ჩემი პირადი მუშაობა ემართება: ჩვენს
თაობას შესანიშნავი, ბევრად უკეთე-
სი პირობები აქვს, ვიდრე ჩვენს დიდებს
ქვეყნად ჩვენს ასაკში. აი, ფაქტები: ჩვენ
უკვე გვაქვს მოწოდებული ბინები, ბევრ
ოჯახს ჰყავს ავტომანქანაც. და თუცა, ჩემის
ახრით, მე არ არის ადამიანისათვის ყველა-
ზე დიდი ფასეულობა, მაგრამ კარგად ასა-
ხავს მიღწეული ცხოვრების მარადი ღონის.

ჩემთვის ძვირად მქრფის ოპტიმიზმი,
ადამიანთა მკვათაფილება, და, როგორც ყვე-
ლაფერი ამის შუადგი, შრომითი კარგი და-
მოკიდებულება. ჩვენს წარმოებაში არ ყო-
ფილა შემთხვევა, რომ ვინმე მოეხსენიებო-
სასტრიდან სიზარმაცის ან დაუდევრობი-
სათვის.

3. მე მუსრს ეკონომიურ ინსტიტუტში
ვისწავლო, ამჟამად ეს ცვილობა კარგად შე-
ასრულო ჩემზე დაყრდნობით სახალხო
მსაჯულის ფუნქცია. მე და ჩემი მეუღლე
დიდ სურადლებას ვუთმობთ ჩვენს ვაჟი-
ვილს და მე ბედნიერი ვიქნები, თუ მომავ-
ლში ისიც სამუშაოდ ჩვენს წარმოებაში
მოვა.



ანტონია იანიანიშვილი



ორმოცდაათი წლის დამდეგმა ბედნიე-
რება მოუტანა ბრატისლავას მახლობლად
მდებარე პატარა სოფლის — რაჩს მკვიდრს —
გუბე ბელოდისს. სამ ვაჟიშვილს უცებ
ორი ქალიშვილიც მიემგება — ანტონია და
მარია. 45 წუთით უფროსი ანტონია მუშა-
ლების კვალს გააკვია — თავის სამ მშასთან
ერთად სოფლის მეურნეობაში ჩაება. მარია
კი მუშა გახდა.

1. ჩვენს თაობას ვერც კი წარმოუდგენია,
როგორ ცხოვრობდნენ წინათ სოფელში. ახ-
ლა, ენგნაში მუშაობისას ან ჩვენი კომპერ-
ტივის სასიღობოში ზოგჯერ მასალას რომ
ვაგვაბებთ, ხანშიშესული ქალები გულაღწე-
ვებით ამბობენ: ეს კომპერტიული შრო-
მა რატომ ადრე არ იყოო. წინათ არც უხვ-
არება ჰქონდათ ისე კარგი, როგორც ახლა.
მშენებელი სახლები, თანამედროვე ავჯათა
და მოწოდებლობით — საჩუქრი მანქანები,
მაცივრები, ტელევიზორები — ეს ყველაფერი
ჩვეულებრივად იქცა და ეს ყველაფერი
ჩვენზე, სოფლის მეურნეობის მუშაკებზე დი-
დი ზრუნვის შუადგეია. განსაკუთრებით გავ-
ვიზარება წარმატებულ უკანასკნელ წლებ-
ში. ჩვენი კომპერტივი უფროსია და ხი-
ლის უბე მოსავალს იღებს, მეზობელი კო-
მპერტივთან — მარცხუფელისას. გასული
წელი სლოვაკეთისთვის სარეკრძოლ გამოდ-
გა: ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 44 ცენ-
ტნერი მარცხუფელი ავიღეთ. ეს ამბავი ერთ-
ნაირად სასიხარულო სოფლის მეურნეობის
თვის ყველა მუშაკისთვის, ვაზრუნებოდა.

2. მე ვავაძებ იმ თავდადებას და შეუ-
პოვრობას, რომელიც გამოიჩინა სოფლის მე-
ურნეობაში მომუშავე ჩვენმა უფროსმა თა-
ობამ კომპერტიური მეურნეობის დამკვიდ-
რების გარკვეულ სინდელთა ვადლაბავი-
სის. ყველას გვაინტერესებს საბჭოთა ხალ-
ხის ცხოვრება, ყველას გვსურს განვამტკი-
ოთ ჩვენი მომბა და მეგობრობა. ათი წე-
ლია, რაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა
დავამყარებთ საჭარბოვლის საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკის ერთ-ერთ მხარეს-
სთან — რუმინთან. კარგი მუშაობისათვის კო-
მპერტივმა ჩემი მძებნი საქართველოში გა-
ამჯავარა. მეც მიიღა, ისე ვიმუშაო, რომ
ეს მოგზაურობა დავიმსახურო.

ყველა დღესათვის, მეც ვცდილობ, პატი-
ოსან და კარგ მოქალაქეებად აღზარდო ჩე-
მი სამი შვილი.



ბაბიილა კიკვიძე

ოცდაათი წლის ქალის — ინენერ-ქივიცი-
ლის გაბრძოლა პოკორნას ბელი ძალიან ჰკავს
ბრატისლავას ინტელექტუალის სხვა წარმო-
მადგენელთა ბედს. წარმოშობით გაბრძოლა
ქალაქში გადმოსახლებული გლეხის ოჯახი-
დანაა. სკოლის წლებში ქივიცა გაიტაცა.
დაამთავრა სლოვაკეთის უნივერსიტეტის ქი-
მიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი და მუ-
შაობა დაიწყო ჰემატოლოგისა და სისხლის
ტრანსფუზიის კლინიკის ბიოქიმიურ ლაბო-
რატორიაში, სადაც მედიცინის პროფესორ-
მა დაინტერესა.

1. მე ძალიან ვაფასებ იმას, რომ მე და
ჩემი და-ძმას უმაღლესი დამოავრების სა-
შუალება გვქონდა. მძა — ვლადი მშენებე-
ლი ინენერსა, და — ირენა — ინენერ-ეკო-
ნომისტი. ჩვენი წყობილების ერთ-ერთი ყვე-
ლაზე დიდ სიკეთედ ის მიმანჩია, რომ ყო-
ველი მოქალაქე, ვისაც ამისი სწრაფად და
უფრო გაჩანს, შეუძლია მიიღოს უმაღლესი
განათლება და მაღალი კვალიფიკაცია.

2. ჩემი თაობა თავისი ძაღების გაუფრ-
ქენის ხანაშია. მე მომწონს ჩემი თანამედ-
როვ ქალების განსაღ პატივმოყვარეობა,
მომწონს, რომ მათ ხშირად ისეთი თანამე-
დროებები უცვავიათ, წინათ რომ მხოლოდ მა-
კინებობის ტყვენი იყვნენ. მე ისეთი ქალები
მომწონს, რომლებიც პროფესიისთან ერთად
ოჯახურ საქმეებში მშენებელი უძრებინან.
ეს იმის წყალობაა, რომ სახემწიფიყო,
დაწყისებულებები ბევრს ზრუნებენ ჩვენთ-
ვის, დღეობისთვის და ჩვენი შვილების კე-
თილყოფისათვის. ჩემი ბავშვები საბავშვო
ბავაში დაიზარდნენ, ახლა კი საბავშვო ხა-
ლში დადიან. იქ მათზე ზრუნევენ და მე,
დაწყისებულების ხელმძღვანელს შემიძლია
მშვილად ვიმუშაო.

3. მე მუსრს უკეთესად დავუფულო უცხო
ენებს, რომ მიღებულა ცოდნა მოვახმარო
კვლევის ახალი მეთოდების ეფექტურობის
ამაღლებას, დავიზიარო სწრაფ დასმას, რა-
საც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი
კლინიკისა და, საერთოდ, მედიცინისათვის.





ანა მილიტალოვა

გარისპის პედიტი

გელოლით...
მეც. დედაც გელოლა.
გელის ახლაც, გელის დედა.
მეც გელი. მამც მემისი შენი.
და ხშირად სიხარულში გხვდები.

სამკუთხა ბარათებს დიდხანს
გავხვნი და კვითხულბო თრთოლივით.
უვითელმა ფურცელმა მითხრას
ხად დაგდის წვიმა და თოვლი.

იქნება ვალმოხდილს გინავს
უცხო მიწაწალზე ახლა.
სულ უცხო მხარე შენს ბინად
და უცხო ქარისკაცს გავხარ.

და როს მაისების ელჩი
ჩამორბის სერიდან-სერად.
მამულზე ოცნება შეგჩრა
შენ ვანუყურებულ სენად.

და მაინც გელით, გელით
უყოველ მაისებთან ერთად.
და გვექვბ სახება შენი
სალოცავ, სალოცავ ღმერთად.

დიდი, მშობლიური განცდილი
შენ გეტბ დეკარგულ მამს.
შენ გეტრქა ქარისკაცო,
ქარისკაცს დაგეტბ ღამაზს!

სამშობლოს დამცველად გასახვ
შენი უნახავი ერთა —
ხად უცნობ ქარისკაცს ვნახავ, —
იორივეს გადიღებთ ერთად.

...დაქპრის გაზაფხულის ქარი,
შენ ისევ ცოცხალს გხვდავთ,
არა! შენ არა ხარ მკვდარი,
კვლავ გელით მეც და დედაც!

გული დღისა

ამბობდნენ წინათ, ამბობენ დღესაც,
უცნაურობად არავის ესმის:
— შეიღობა უნდა დარჩნერი ქვეყნად,
მშობლები უნდა წავიდნენ წესით!

რაკი არსებობს კანონი ესე,
რაკი არსებობს კანონი მძიმე,
ჩვენც უნდა ვდლითო ბუნების წესებს,
რაკი გვეთქმის ბუნების შეიღობა...

დღეს მე აღარ მყავს ძვირფასი დედა,
ის მყავდა ერთდროს, წარსულში, უწინ,
რცა მემხადნენ ცეცხრისა მხედარს
და თავს ვიქცევიდი კენტიო და ლუწით.

რცა ხეს თხრიდა დაბმული ბუღა
და ნაკერჩხლებით მაკრობოდა ზეცა,
რცა მამხადნენ ნაყითო წულა
მქონდა და მაინც არასდროს მეცვა...

დღის და მამის ჩენა ვართ სისხლი,
საყვარელია მამაც და დაცო,
ათათაქნარ გვხვნილია იხიც:
— გული დღისა სხვათა მინც!

სხვა არის—გულს და სიცოცხლს გვეყოფს,
მის ხელსუ სიტბობად იქცევა მწარეც...
ინებაი თქვენბარ დღესათან ვიყო,
სულ არ გამოვალ სახლიდან გარეთ.

გაუფრობო უყველა წუხილს და ვარამს,
თუ ვერ გაღულებდი ვალსა და ამაგს.
ბოდიშს მოვიხიდი მამებთან, მაგჩამ
დიდა დედა

და არა
მამა...

ამბობდნენ წინათ, ამბობენ დღესაც,
უცნაურობად არავის ესმის:
— უნდა დარჩნერი შეიღობი ქვეყნად,
მშობლები უნდა წავიდნენ წესით!

ასე უყოფლია მშობლების ბედი,
უცნაურობად არავის საკუთარ თავზე.
რა იქნებოდა, სიკედილი დღის
სავადღებულყო არ იყოს ასე!

მეც რომ ვიქნებოდი მშობელი მამა
შეიღობდი ასე იტყვიან ალბათ:
— „გული დღისა სხვათა მინც!“



ჯეჯვის სემოლეა

მხი ჯონხამ

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

დიდი ხანია ასეთი ღელვა აღარ განუცდია ურსულს. დიდი ხანი კი არა, მგონი არასოდეს. მაშინაც კი, ჯერ კიდევ როცა სტუდენტი იყო და თავისი ნამუშევრების პირველი გამოფენა რომ მოაწყო, უფრო მშველი გრძობდა თავს...

სხვა მხატვრებთან ერთად, ბერლინის სახალხო კლუბის გეგმა და ნათელ სალონებში გამოფენილი იყო ურსულა კლერის ათიღდე ნახატი. იგი გრძობდა, რომ იღვეური თვალსაზრისით მისი ნამუშევრები სხვათა ნამუშევრებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მხატვრულად თუ იწებოდა იგი იმ ავტორიტეტული ეიურის დამაკმაყოფილებელი, რომელიც შეფასებას აძლევდა აქ გამოფენილ ნამუშევრებს? — აი, ეს აფიქრებდა თავის თავისადმი უსაზღვროდ კრიტიკულად განწყობილ მხატვარ ქალს.

მაგრამ მთავარი ის კი არ იყო, ახლა მოიწონებდნენ თუ დაიწყებდნენ მის ნამუშევრებს, ქებით მოიხსენიებდნენ თუ კრიტიკის ქურაში გაატარებდნენ, გამოფენა ამა რის გამოფენაა, თუ ზოგი არ მოიწონეს, ან ზოგი არ დაიწუნეს, მთავარი ის იყო, რომ ამ გამოფენაზე შერჩეული ნახატები შემდეგ უნდა გაგზავნილიყო საბჭოთა კავშირში და იქ, რადღონიმ ქალაქში უნდა მოწყობილიყო მათი ჩვენება. და კიდევ ის იყო მთავარი, რომ მოწონებული ნამუშევრების ავტორები უნდა გაყოლოდნენ გამოფენას და ემოჯახურთ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობა და განსაკუთრებით საქართველოში ჩასვლა ურსულს ამ ბოლო ხუთი წლის დიდი ოცნება იყო და მით უფრო დღევანდს, რაც ამ ოცნების განხორციელებასთან ახლა ასე ახლოს იდგა.

აი, ეს ადევნებდა ურსულს და მოსვენებას უკარავდა ამ ოცდახუთიღდე წლის ქალს, რომლის ჩამოშლილ ქება თმასა და წარბებზე ქვეშ, ჩუბტად ბრღღვლივებდნენ შავი, მკვესავი თვალები.

ხუთი წლის წინ დაკარგა მან ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ ქვეყნად ყველას ერჩია. მის გარდა ურსულს სულს

არაფერი გააჩნდა და როცა იგი კვდებოდა, ისეთი რამ უთხრა, რამაც საოცრად აფორიაქა მისი ცხოვრება.

ღეღამ, თავის საიდუმლოსთან ერთად, ერთი პატარა, დრო-ემისიან გან გავეითებულ ფოტოსურათით დაუტოვა, რომელზედაც ერთი ქერათმიანი ქალიშვილი და ერთი გრუხათმიანი ქაბუცი იყო გამოსახული. სურათის უკანა მხარეს კი ამ შავგვერდანი ქაბუცის მისამართი ეწერა.

— ურსულა, — უთხრა სიველილის წინ ღეღამ, — მინდა ყველაფერი იცოდე. შენ ახლა პატარა აღარა ხარ და იმედია გამოიგებ... მაშინ მეც შენგვრა ვეყავი...

თითქმის ერთი წელიწადი აღარაფერი შეუქმნია ურსულს. საოცრად მოეშვა, მოითენთა. პალიტრისა და საღებავების დანახვა ჭირივით შესძულდა. დაეხეტებოდა მშობლიური ბერლინის ქუჩებში და ყველაფერს უცხოდ ხვდებოდა. გშინოდა თავისი ფიქრები არ გავცა და ხალხს არ დეძახა — გასწი ურსულა, შენ ჩვენი არა ხარ, შენ სხვა ხარ, ჩვენთან რა გინდაო.

ერთი წლის შემდეგ კი ურსულამ კიდევ ერთხელ განიცადა საოცარი ფერისცვალება. თავს არ იზოგავდა. იქნა თავის პატარა ოთახში და ხატავდა და ხატავდა.

როდესაც პირველად მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, გაზეთებში ბევრი საქებარი რეცენზია განწდა მისი მისამართით. ზოგიერთი იმასაც დასძენდა, ამ ნახატებში რაღაც ზღაპრული ან უცხო ფერები ჭარბობენო. ავტორს, რაღაც უხილავის, ფიზიკურად განუცდელი გრძნობის ვადმოცემა სურს და ბოლომდე ვერ მიკვებება ჩანაფიქტოს. ამიტომ მისი ნამუშევრები უფრო არარეალისტრულად შვილდა მოინათლოს, დაუმთავრებლად, ესკიზურადაო.

ურსულა ამ გამომასუხებია ამ შენიშვნას და თავის გულში ქებაც კი შეესხა რეცენზენტს, — რა მიხედვრლი ყოფილაო.

ასე იყო თუ ისე, გამოფენამ სიხარული მოუტანა ურსულს. სხვა

რამდენიმე მხატვართან ერთად მასაც და მის ნამუშევრებსაც მოუწოა საბჭოთა კავშირში გამგზავნა.

ასეთი დიდი სიხარული ქალშვილს, მგინი, თავის სიცოცხლეში არ განუცლია.

* * *

...მოსკოვის მერე რამდენიმე ქალწილ მოიარა ურსულამ. როდესაც გამოფენამ თბილისიდან სხვა ქალში გადაინაცვლა, მან შეამოგონა ლიბა სხოვა გამოფენის მომწეობი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, გამოფენას ნელა გამოაყოლონ, საქართველოს დაევალიერებო, მის გაცნობა მუსტოს და, თუ შესაძლებელია, ერთი თვით, ჩემი ხარკით აქ დაბრუნდეთ.

ურსულა კლერის უარი არ უთხრეს, იგი ჩამოსცილდა თავის ნახატებსაც და მამობა გამოფენასაც.

...ერთი პატარა ღამის ავტოგაზაღმის, უცხო ქალშვილი რომ გადმოვლდა ავტობუსიდან, ყველამ მის მიაკეთა ყურადღება. ქალშვილი დაბნეულად იხედებოდა აქეთ-იქით და არ იცოდა ვისთვის მიეშინათ. მერე როგორც იქნა გაბედა და იქვე მდგომ ერთ მოხუც კაცს თავი-ნი დატყვევდა რუსულით სთხოვა სასტუმრო მიესტუმრებოდა. მოხუცმა ცნობისმოყვარეობით ათავა-ჩათვალა უცხო ადამიანი და დატყვევული რუსულითვე გაეპასუხა:

— აქაერი არ უნდა იყო, შვილო?

— არა, არა, მე აქაერი არა ვარ.

— არც რუსი უნდა იყო, შვილო?

— არა, არა, მე რუსი არა ვარ.

მოხუცმა კიდევ ერთხელ ათავა-ჩათვალა მოსაუბრე:

— საიდან გვეწვეო შვილო?

ურსულა დაიბნა. აღარ იცოდა რა ეთქვა. ეთქვა გერმანელიო, ვი თუ... ვინ იცის ამ მოხუც კაცს რა მოგონებები ავებშირებს გერმანიის განსვენებას, ოხ... რა დრო იყო, რა დრო ის დრო ხომ მისთვისაც საბედისწერო აღმჩნადა. არა-და სხვა რა გზა ჰქონდა. ანდა რა საკადრისი იყო ტყუილი? ამ მოხუცის თვალები ხომ ასე კეთილად შესციონებულა?

— მე გერმანიიდან ვარ.

— გერმანიიდან? — გაიოცა მოხუცმა, — მერე-და, ჩვენში, ასე შორს რამ მოგიყვანა, შვილო?

ურსულა უფრო დაიბნა. რა ეპასუხა? ტურისტო ვარ და ვმოგზაურობო, ვინ იცის რას იფიქრებდა ეს კეთილი მოხუცი. ეგებ ეთქვა კიდევ: ჯე, საქმე შემოგაკლდათ ახლანდელ ახალგაზრდებს და აღარ იციან დრო როგორ მოქალაქო. ეთქვა ის, რისთვისაც ჩამოვიდა, ვით-თუ მოხუცნი ვერ გაეგო მისი ცდენტები, ბოლოს ერთ გამოსავალს მოაჩინა.

— მე ბევრი, ძალიან ბევრი წიგნი წამოვიტოხავს თქვენს ქვეყანაზე, თქვენს ხალხზე, მინდა ჩემი თვალთი ვნახო.

— ჰო... გააგრძელე მოხუცმა, — მამ წყნებით წაგიკითხავს არა? ძალიან კარგი. — მოხუცი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე თვალები უფრო კეთილი დიდილით აუციმცილდა და განაგრძო. — ძალიან კარგი, ძალიან კარგი! მაგრამ შვილო, კი უნდა იცოდა მოხუცის უკმეზი კითხვა, მერე-და სასტუმროდან აპირებ ჩვენს გაცნობას?

ურსულამ ვერაფრის თქვა მოსაუბრეს.

მოხუცმა იფიქრა შეიკითხა კარგად ვერ გაეგებინეთ და კიდევ გა-უფორა.

— სასტუმრო შვილო, ყველანა სასტუმროა. მაგრამ სასტუმროდან ქვეყანა და ხალხი არ გაიცნობა.

ურსულა უხერხულად შეიმშრდა.

— არა, რა გქნა, მე აქ მარტო ვარ, მე ნაცნობი აქ არაინი შევაც. მოხუცმა თითქმის სიტყვას ეძებდა, აქეთ-იქით მიმოიხედა და მე-რე მიქურ უთხრა უცხო ქალშვილს:

— მამ მე ვინა ვარ?

ურსულა კიდევ უფრო დაიბნა, ვერ მიხვდა მოხუცი რას ეკითხებოდა, რა უნდოდა. მოსაუბრე შეაბუცო, რომ ქალს საქმე გაუჭირა თავისი შეიკითხვებით და გააგრძელა.

— ჩემი გოგონა, ხალხის გაცნობა ვინდა და ამა, ერთს ხომ უკვე იცნობ. მე ავერ, სულ ახლო სოფლიდან ვარ, თუ არ იყავარისებ, ჩემი ოჯახის სტუმრობას, წამილი, ჩემი ოჯახის სტუმარი იყავი, არა-

ფერს მოგაკლებ. შინ მარტო, რომ კი არა, სხვებიც არაან. ავერ, ხალხი ახლო ჩემი, სოფელი. — ეუბნებოდა ამას მოხუცი და თან სტუმრობდა და ისეთი არაფერი ეთქვა, რომ უფრო უხერხულაში ჩაეგდო უცხო სტუმარი.

ურსულამ აღარ იცოდა რა ეთქვა. ყველაფერს მიელოდა, მაგრამ საქმე თუ ასე ავერუბოდა ვერაფერი მოისახრებდა.

— თუ... არა... არა, ეს როგორ?

— ნუ მაწყენინებ, შვილო, მოხუცს, როგორც შვილს ისე მიგვლებ...

ურსულა თავისი თეწყვანდა. არა ექნა აღარ იცოდა: გაეკუბა თუ არა... არა და, ვინ იცის, როგორ აბეწვად გულს ამ ყველაფერ-მანს.

— ავერ, სულ ახლოს არის ჩემი სოფელი... — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— როგორც შეგაწუხებ... — ურსულა გარნობდა, ამ უცხო ქვეყანაში სულ უფრო რომ არ იყო, რომ უკვე ჰყავდა კარგი ნაცნობი. და ეს ნაცნობი ერთი იმთავანი იყო, რომელთა გამოც უღელავა ამდენი ხნის განსვენებით.

— ჰო, როგორც მირჩევთ, კარგი, თანამა ვარ...

მოხუცმა ხელი მსუბუქად დააყო ურსულა პატარა ჩემოდანს და უთხრა: — ამა, ჯე, წყვილით.

დაბნეული ქალშვილი უკან გაეკუბა.

* * *

ავგისტოს თავიკარბა იდგა. სოფლის შარხე რომ მიდიოდნენ, ურსულას და მოხუცს უმაჩიავი შურა მიაკლავდა. უცივარი, ურსულას, მოხუცი ყველა შემხედლარს რომ ეცნობებოდა. იგი ამაართული მიზანბედა, თითქმის ხალხს ემაყუებოდა, — შეხეხე, რა უცხო სტუმარი მეწევიო.

ერთ-ერთ გზოსთან მოხუცი შეგდა და შორიდან შესძახა:

— ექსარია! ზურკია! სად ხართ თქვე ფეხებზე?

სახლის ღია აივანზე მოხუცი ხელი და ახალგაზრდა ვაგი გამოდგნენ.

— რა იყო, თოფილო, ხომ მშვიდობაა, კაცი? — გამოეპასუხა ქალი.

— მშვიდობაა, ამა რა? რა შინ შეუფუტულხართ, მთელმა სოფელმა ვაგიო და ვაგიო გაფიქრდა, თქვენ რა მოგივიდათ, ვერ ვაგივთ, რომ უცხო სტუმარი მომეყავს!

— ჯე, მომიკვდა თავი, მომბრძანებდი გენაცვალეთ, მომბრძანდი! — და ქალი თავშლის სწორებით დევევა აივანის კიბეებს. ეზოს კუბ-კუბთან მიეგება ახალმოსულებს და კარი დაფიქრდა გააღო.

— უბრალო სტუმარი კი არ გვეგონოს, ექსარია, გერმანიიდანაა, გერმანიიდან გვეწვიო.

გერმანიის ხსენებამ მთლად დააბნია ქალი. თოფილო კიბეზე აუძ-ღვა ურსულას და იქვე მდგომ რუბოს მიმართა.

— რას ვამეწუხებლარ ამხელა კაცი, ვერ ჩამომართმევი ტვირთს? ვაგი მაინც ვეა მოხუცს ხელში და პატარა ჩემოდანი ჩამოართ-ვა. ვაგი ხელი კი მორცხვად შორიდან გაუწოდა უცხო სტუმარს.

...მეგავირობის ბრალი იყო თუ სხვა გნებ, ოთახში რომ შევიდა და ფართო ტახტზე ჩამოქდა, ურსულას სასიამოვნო სივრცელზე დაუბრა ტანში.

— ეცეს ასე, ჩემო... მოიცა, სახელი კი არ ვიცი შენი ქალიშ-ვილი?

— ურსულა! — მორცხვად უთხრა სტუმარმა.

— ურსულა? — ჰო... კარგი სახელია, კარგი უნდა იყოს... ჰო-და ასე, ჩემო ურსულა, ისე მოიქმევი როგორც შენს სახლში.

ექსარია დაღვსულსება და არ იცოდა რა გაეცეთებია. ჩაფი ხან ერთ ადგილას ვადაღვა, ხან მეორე ადგილას. მერე ცოცხს წამოა-ვილო ხელი, თითქმის სურდა ამით თავისი უხერხულობა დეფარა, მა-გრამ, მაინც არ გამოუდიდა. რუბო კი საზრდალაუბლებით იდგა კარ-რეზმი და არ იცოდა ხელუბი სად წავილა.

— ექსარია, ქალი, ვაიყვანე ეს ქალი და თავისი ოთახი მთლიან-დააბან-დაბანდავთავებევი ხელები, ხომ იცი ნიანგზარა არის, ხეში გნ-დომება. — მერე რუბოს მიმბრუნდა: შენ კი, რა მოგივიდა, ბიჭო, ქალი არ გინახავს? დატრიალი, საქმეს მიხედ.

ესარიამ მორიდებით მოიკიდა ხელი ურსულას მკლავზე და მისთვის მიჩენილი ოთახისაკენ წაიყვანა.

— ვინ არიან ეს ადამიანები, ან ატომ იჩენენ ჩემდამი ამდენ უურაღმბას? რა აქვთ საერთო ჩემთან. — ეს აზრი უტრიალებდა განუწყვეტლივ ურსულას, — თუცა რატომაც არა? მეც ხომ იმან მომიყვანა ამ მხარეში, რომ რაღაც საერთოს ვერწნობდი, რაღაც ახლობელს, შინაურულს?..

...ვიტრე სადილად დასცდებოდნენ, თეოფილემ ურსულას თავისი ოჯახი დაათვალიერებინა, დიდ ოთახში რომ გაიყვანა, ერთ სკრუთთან შეჩერდა. სურათზე ახალგაზრდა ქალი და კაცი იყვნენ გამოსახული, აი, სწორედ ისე, ურსულას რომ ჰქონდა ხელჩანთში. ხოლო ეს უფრო დიდი იყო.

— ეს კაცი ჩემი შვილია, ეს კი რძალი, — უხსნიდა მოხუცი, — მიჰქი ომში დამეღუპა, ალბათ დაიღუპა, აღარაფერი ამბავი მომცვლია. რძალი კი რეზოზე ორსულობას გადააყუა. შიშვე წლები იყო, ვერაფერი ვუშველო. — მოხუცმა ნაღვლიანად ჩაინდრა თავი. ურსულად ამგრაფრის თქმა ვერ შეძლო, მხოლოდ მხარზე მოხვია მოხუცს ხელი და მიეკრა.

სადილის წინ თეოფილემ სტუმარი მარანში გაიყვანა. ურსულა ვერ მხვდა რას ეუბნებოდა მოხუცი, როცა პატარ-პატარა მომალლო ბორცუვებს უჩვენებდა.

— აქ ღვინოა, ღვინო, ვინაი

— ვინა? — ითხოვა ურსულამ და ინტერესით დაუწყო მზერა მოხუცის ფუსფუსს.

— რეზიტუნა, ბეჭო, — გასძახა თეოფილემ, — ჩამოიტანე ჭიქა და ჩამოდი. ჭადი და ყველიც არ დაგავიწყდეს.

რეზომ ხელად ჩამოარბენია და იქვე მარნის კარებში აისკვრა. ურსულას ბევრი რამე უნახავს, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი. ჰევერიდან ლალისფერი სითხე წინწყლებს ისროლა.

ბაბუმ ორშომოთი თავი ვადაუკრიალა და ჭიქა აავსო.

ურსულას გგონა პირველად მე მომაწოდებსო სასმისს როგორც სტუმარსო და ძალიან გაუკვირდა ასე რომ არ მოიქცა.

— ამითი, — დაიწყო თავის დამტკრეულ რუსულთი ბაბუა თეოფილემ, — შვილობას გაუმარჯოს. — მერე სიტყვების მოგონება გაუჭირდა და თითო ჩერ ურსულასკენ გაიშვირა, მერე რეზოსკენ, — შენ, შენ, ომი, არასოდეს არ ვენახოთ. — და ჭიქა გამოიკალა. მერე ხელახლა ავსებულ ჭიქას ცერად გახედა და ურსულას გაუწოდა.

ურსულამაც და რეზომაც შესვეს ეს საღვთვრძელო. ურსულა გრწნობდა, ჭიქის გამოცლისას რა სასიამოვნო ერუანტელი და სითბო უეღიდა ტანში.

...სადამის თეოფილემ ბაბუს ოჯახში თავი მოიყავრეს სოფლის ადა-მიანებმა.

ურსულა თავის თავში ევლარ ეტოდა. ტირილიც უნდოდა და სიცილიც, როცა ამ ხელმედაკორილ ხალს უშხერდა. იგი მელნიერებას გრწნობდა და ეს ბენიერება როგარ გამოეხატა აღარ იცოდა...

სადამოზე ბაბუამ ურსულა აღღვარძელა, უფსრა, შეალო, კი ნუ გეწყინება და შენი სახელის თქმა ძალიან მიჭირს, ჩვენებურად და-გობაბებო — რუსულდანი.

ურსულას ძალიან მოეწონა ბაბუს ნათქვამი.

— მე რუსულდანი, კარგი, ძალიან კარგი! — მერე, გულში ჩაეკრა და კინალამ წამოცდა: — მე, ხომ ნახვარად... — მაგრამ აღარ დაუმოთავრებია, — რუსულდანი, ძალიან კარგი, რუსულდანი...

• • •

ერთი კვირა მიიწურა, რაც ურსულა ბაბუა თეოფილეს ოჯახის სტუმარი იყო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამე ნახა მან. ნახა აქუტრების შრომა, ლხინი, ვართობა და უეკირდა ასეთი სიახლოვე ერთმანეთის მიმართ ამ ხალს რამ დუნერგავო. თვითონაც ბევრი რამე მოუთხრო მასპინძლებს. თავისი ნახატების რეპროდუქციებიც აჩუქა. მხოლოდ ერთი რამ დამალა, დაუმალა ის, თუ რამ ჩამოიყვანა აქ, ამ მხარეში. ახლა ურსულას თავისთვისაც უკვირდა ამის გახეხლა, ვთუ თუ მერე ვერ შევიყავო თავი და წამოიქცესო.

ერთ დღეს თეოფილემ და ესარია აიყანზე ისხდნენ და თავიანთ ბაღას ვადაუტრებდნენ. და აი, დაინახეს, რომ ურსულა — რუსულ-





დანი და რუხო ხეხილის ბაღში დადიონდენ და ვაგი რაღაცას უხსნი-
და ქალს.

— კესარია, ბოშო, ერთი ექთვათ და... ვერაფერ ცელოლებს ამ-
ჩნეგ რუხოუნას?

— რას უნდა ვამჩნევდე, კაცო?

— ე.ს. ჩემო კესარია, დაბერდი, დაბერდი, ახალგაზრდობის აღ-
ჩაფერი გავეგებო.

— რავე, შითამ?

— რავე და ისე.

— უი, ბეზა, სად გერმანელი და სადა... უცხოა, თეოფილე, უცხო,
ჩვენი არაფერი გავეგა... — ეს ისე სთქვა კესარიამ, თოქვის გულეც
წუღებო.

— უცხოო? ვერ ხედავ რავე ყველაფერს მაღე ითვისებს. ახლან-
დელი ახალგაზრდობისათვის არაფერია უცხო, ხომ ნახე გუშინ თო-
ნენში პურის ჩაყვრას რომ ვახოვდა.

— გამოვაჩერებტა ჩემმა ვამჩენია... რავე ვითომ?

— ა... შეგხედა, ერთსაც და მეორესაც, ვერ ხევდები ე ჩვენი ბივი
შითაში, გერმანში თავის მიგვიჩი რომ სულ სხვას ვაზნის ხოლმე ამ
ბოლო დროს? რას უნდა ნიშნავდეს ეს? თუ ქალი ხარ შითახარი.

— ეგებ ბედო ამ უცხო აღმამისათვის ბორკვანა და ცოლის მოყვა-
ნაზე შიტიმ გვეუბნებოდა ურას.

— რა ვიცო.

* * *

— რუხო, — უთხრა ერთხელ ურსულამ ვეას, — ეს სოფელი შორ-
საა აქედან? — და მან ქალაღლზე ამოწერილი სოფლის სახელი უჩ-
ვენა.

— შენ რა იცი, ურსულა, ამ სოფლის სახელი?

— შორსაა თუ ახლოს?

— რა იცი-მეთქი, ეს სოფელი?

— წაიხვიანე იქ... რუხო აფორიაქდა, აღარ იცოდა რა ექთვა. რა
ესაქმებოდა ამ უცხო აღმამის ამ სოფელში, ან საიდან იცოდა მისი
სახელი?

— თუ ძალიან გინდა, წაივლით? — როგორც იქნა ამოღერდა.

— მაგრამ, მეორე დღეს, როცა ამ სოფლისაკენ გაუცუნენ ვზას, უფრო
სოკარია ამის მოსმენა მოუხდა რუხოს.

— რუხო, იმ სოფელში თუ იცნობ ეინმეს.

— როგორ არ ვიცნობ, იქ ჩემი ტექნიკუმის ამხანაგებიც ცხოვ-
რობენ.

— რუხო, არ გაივიწყლო და ერთს კიდევ გკითხავ, — ქალი ჰოჭმა-
ნობდა, — გლოველების გვარის თუ ვინმე ცხოვრობს იქ?

— ეს უკვე მერისმეტყი იყო და, გაოცება ვეღარ დადარა: —
შენ რა იცი? მაგ გვარის იქ მთელი უზანია. ანა, ვინ ვინდა?

— რუხო, რასაც ვეტყვი, არ ვაიციო, ნურც დამპრახავ. არა, თქვე-
ნი მოტუტება ამ მინდოდა, ეს თავისთ მობდა. — რამდენიმე ხანს
ორივე უსიტყველი მძიბიყენდნენ.

— რას ამბობ, ურსულა, სთქვა აღარ შემეძლია.

— რუხო, მე გერმანიიდან კლეგერი ჩამოვედი. ჰო, ურსულა კლე-
ვი ვარ, მაგრამ მე... რუხო, მე ნახეგრად ქართველი ვარ, მე გლოვე-
ლი ვარ. — თქვა ესა და გაგანებულ რუხოს თვალს გაუსწორა: —
რა გქნა, ვერ ვიხიარო ვასაგებდა. ჩემი მამა... ჰო, თუ გლოველი იყო,
პეტრე გლოველი. მე მისი ნახვა მინდა. მე მისი ნახვა მინდა...

რუხო იქვე გზისპირას ქვაზე ჩაიოქდა.

— რა, რუხო, გეწყინა?

— ურსულა...

— რა, რუხო?

— შენ, მაშ შენ...

— ჰო, მპატივდ თუ აქამდე ვერ ვიხიარო...

— არა, ურსულა, ურსულა კი არა რუსულან, მე... არა კი არა
მწყინა, ურს... რუსულან...

— ჰო, იმი იყო: იმმა დედა და მამა ერთმანეთს შეაგებდრა. მამა
ომის დამთავრების შემდეგ ოთხ თვეს კიდევ ყოფილა ბერლინიში,
მერე კი დღვას ვერ გაუბედღეს უცხო ქვეყანაში წამოსვლა. თანაც
ხომ გაგიგონია, რა მდგომარეობა იყო.

— ურსულა...

— სთქვი, ნუ მომერიდები, სთქვი, ვერ მოვიტყევი კარგად, რომ გა-
მოიტყევი?

— არა, ურსულა, მე სულ სხვა რამის თქმა მინდა... დაგვივინდა.

— დამიგვიანდა? რატომ?

— მამაშენი შარშან ზაფხულს... ომის უპრობოებმა გაუხსნეს და...
ურსულამ ვეღარაფრის თქმა მოახერხა. ისიც იქვე ჩამოქდა და სა-
ხე ხელებში ჩაიშალა.

— ... ისეც უნებოდა, მე კი მის სანახავად საიდან სად ჩამოვედი.

— ნუ, ნუ ნანობ, ურსულა! რა ვუთხრო, ასე ალბათ ცხოვრობა ავე-
ბული, განა ყოველთვის გვიმართლებს? — როგორც შეეძლო ანუ-
გეშა რუხო.

— არა, არა, რუხო, არ ვნანობ, აქ ხომ ბაბუა თეოფილე, ბებია კე-
სარია და მთელი შენი სოფელი გავიცანი. აქ ხომ... რუხო... აქ ხომ
შენ გაგიცანი, შენ... — და ურსულა — რუსულიანი ცემლიანი თვა-
ლებით მიმარტდა ვეას.

— დავბრუნდით, რუსულან, რუსუნ?

— იქ, პეტრეს, მამაშენის არაინ არის? — რუხოს ძალიან გაუჭირ-
და პასუხის გაცემა, ვაი თუ ცუდად გამოვიდესო, მაგრამ მაინც არ
დღუწავლა.

— შენ იქ მძებნი ვაყვს.

— მძებნი? — შესძახა ურსულამ და ამ შეძახილთ რუხომ ვერაფე-
რი გაიგო:

— ჰო, ურსულა, იქნება არც მე უნდა მეტყვა?

— რატომ რუხო, რატომ. — და თავის სიტყვისათვის რომ უფრო
დამაჩერებლობა მიეცა, ფიცსტავ გაიწია, — წაივლით, წაივლით, მან-
ვენი ისინი.

ქალ-ვაი ხელიხელჩაყიდებულნი გაუცუნენ ბილიკს.

— რუხო, კიდევ ერთი თხოვნა, თუ ოღნავ, სულ ოღნავ გიყვარ-
ვარ?

— სთქვი რუსულან.

— იქ, ნუ გაამხევი ვინა ვარ, სთქვი ჩემი სტუმრარია-თქო, სხვანა-
რად აღარ არის საჭირო. რა საჭიროა გული ვატივინო ოჯახს... აქ
— ხომ ასე ძალიან განვიდინა ახლობლობას.

— შენ, შენც ხომ განიცდი?

— მერე ჩემი ვაიღვ დათოვია რა შეღავათია?

— კარგი, არაფერი ვიტყვი.

...პეტრე გლოველის ოჯახს რამე მიუახლოვდნენ, რუხოს სახეზე
აღბური მოგოღ. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, არც ურსულა
იყო უკეთესი დღეში.

— ქიშვარდი, ზაქარი, — შესძახა ჰიშვარიდან რუხომ. ეხოში ბავ-
შეატატებულმა ახალგაზრდა ქალმა გამოიხედა.

— რომელი ბიძანადგინა? — ითხოვა ქალმა და თან ჰიშვარისაკენ გა-
მოეშურა. რუხომ უთხრა ვინც იყო.

— მერე, რა შორიდან იახბი, შე ვაიყო, მოდი, მომბრძანდი. — მი-
იხატება ქალმა შორიდანვე.

— გამარჯობა, ჰეთონო, კაცები სად არიან?

— ავერ არიან, აქვე, ახოში შეუშას პრიაან, გადავძახებ და ახლავე აქ
განჩვენდანი. — ქალს არ სურდა კარზე მომდგარი სტუმრები უპატივ-
ცემულად გაეშვა.

— არა, ჰეთონო, სტუმარი მყავს და წყალი მოსწყურდა, იქნებ და-
აღვეინო.

— მომბრძანდიო, ვენაცკავე, მომბრძანდიო.

...ქიშვარდი და ზაქარი ახოდან რომ ამოვიდნენ, სტუმრები უკვე
დაშვილებულმა ჰვადენენ. მაგრამ ამ ორი ვაეკაცის დანახვაზე
ურსულას, გული ატყდა. რუხომ იფიქრა თავის თავს თეოფონე
ვასცემსო. მაგრამ ქალმა თავი შეიკავა. ჭერ ძმებს ჩამოართვა ხელი,
მერე მთელი ყურადღება აკენში ჩაქრულ ბავშვზე გადაიტანა და
აღწევდა იმით დღვარა, რომ ბავშვს უალერგებდა.

— აქით ვიყავით, ეს ჩემი სტუმრარია, — დაიწყო ახნულად რუ-
ხო, — ყველაფერი აინტერესებს, ჰოდა, თქვენთანაც შემოეზურებო.

— ძალიან კარგი, შე-კაცო, ამდენი ხანია მაინც არ ყოფილხარ ჩვენ-
სკენ.



მერე როცა მშები და ოჯახის დისასხლის დატრიალდნენ და სტუმრებს ბოღნი მითხადეს, ახლავე მოვალთო, ურსულად დრო იხელთა და ჩანთიდან გემწინიდან გამოყოფილი სურათი ამოიღო.

